

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადიციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 45

ქ.თბილისი

2017 წლის 14 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 14 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრვ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვას.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრვ საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეაღმიტების თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. სუთიაშვილის ოქმი და მოწოდებული ვიდეომასალა, ამა წლის 12 ნოემბერს, I ლიგის კალენდარულ ტურში, კიკეთის „იუნკერები“-სა და თბ „დინამო“-ს მატჩის დროს მომხდარი ფაქტი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

- კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ბექა სამსიანი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა და კონფლიქტის პროვოცირება.
- თბ „დინამო“-ს მორაგბე გიგი არაბული - კონფლიქტის პროვოცირება.
- თბ „დინამო“ - თამაშის ოქმის არასწორად შევსება.

სრვ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრვ სადისციპლინო კოდექსის 2.1.24, 2.2.7 და 2.2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

- კიკეთის „იუნკერები“-ს მორაგბე ბ. სამსიანი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
- თბ „დინამო“-ს მორაგბე გ. არაბული დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
- თბ „დინამო“ დაჯარიმდეს 100(ასი) ლარით
- საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 14 დეკემბრამდე.
- საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კიკეთის „ივერია“-სა და თბ „დინამო“-ს მიმართ ამოქმედდება სრვ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრვ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/